№393 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ**

2016 წელს ქ. ბათუმში გასამართი საერთაშორისო კონფერენციის (მინისტერიალი) – „გარემო ევროპისათვის“ (EfE 2016) ჩატარებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო სამუშაოების პირველი ეტაპის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს გამოუყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**